

ნატო გულუა

აკაკი წერეთელი და რუსული მწერლობა
(წერილის „ნეკრასოვის დაკრძალვის“ მიხედვით)

მე-19 საუკუნეში საქართველო რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად ითვლებოდა და, შესაბამისად, რუსული ენა თანდათან დევნიდა ქართულს სახელმწიფო დაწესებულებებიდან, სასწავლებლებიდან, პრესიდან. ასე რომ, ქართულ სახელმწიფოში მხოლოდ ქართული ენის ცოდნით შეუძლებელი იყო ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობა, საკუთარი შეხედულების მტკიცება, თავის დაცვა კი. ამიტომ ქართველი არისტოკრატები საჭიროდ თვლიდნენ რუსული განათლება მიეცათ შვილებისათვის, რათა მათ მაინც შეძლებოდათ ადგილის დამკვიდრება საზოგადოებაში. ამ პერიოდის ქართველ მწერალთა უმრავლესობას რუსული განათლება ჰქონდა მიღებული, მათ შორის ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს აკაკი წერეთელსაც, რომელმაც ჯერ რუსული გიმნაზია დაამთავრა, ხოლო შემდეგ - პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. რუსული მისთვის მეორე სამეტყველო ენა იყო, პოეტი შესანიშნავად ფლობდა მას და ხშირად იყენებდა კიდევ ლიტერატურული მიზნებისათვის.

აკაკი, რომელიც ქართული ენის მივიწყების წინააღმდეგი იყო და ყოველნაირად ცდილობდა მის დაცვას, ზოგჯერ საჭიროდ მიიჩნევდა რუსულ ენაზე წერას, განსაკუთრებით პუბლიკაციებისას, რადგან იმდროინდელი პრესა რუსულენოვანი იყო. პოეტი, რომელსაც შეუპოვებელი პოზიცია ეჭირა რუსული დამპყრობლური პოლიტიკის მიმართ, რუსული პუბლიკაციებზე ავდა ქართველი ხალხის უფლებებს და ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის ზრუნავდა, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა რუსული კულტურის, რუსული მწერლობის მიმართ, რაც ნათლად წარმოჩინდა მის მრავალრიცხოვან სტატიებსა და ნარკვევებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის კომპარატივისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკისათვის. ლიტერატურათმცოდნეობისთვის ძალიან საინტერესოა აკაკის შეხედულებები რუს მწერლებზე: პუშკინზე, ლერმონტოვზე, ტოლსტოიზე, გოგოლზე, ნეკრასოვსა და სხვებზე.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედება საფუძვლიანადაა შესწავლილი და ისეთი საკითხი, როგორცაა პოეტის დამოკიდებულება ცნობილი რუსი მწერლების მიმართ, საკმაო სიღრმით არის მიმოხილული მკვლევართა მიერ, ფაქტიურად არავინ შეხებია მის რუსულენოვან თხზულებებს, რომლებიც თავმოყრილია 1963 წელს გამოცემულ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის XV ტომში. არადა, აკაკის რუსულენოვანი თხზულებანი მისი შემოქმედების ორგანული ნაწილია და მათი შესწავლის გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ შემოქმედზე. აკაკის რუსულენოვან თხზულებათაგან, რომელთა დიდ უმრავლესობას თემატურად მრავალფეროვანი პუბლიცისტური და ნაწევრადპუბლიცისტური ნაწარმოებები წარმოადგენს, წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ წერილზე „ნეკრასოვის დაკრძალვა“, რომელშიც ნათლად წარმოჩინდა მე-19 საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი სტუდენტის პოზიცია და მისი დამოკიდებულება რუსი მწერლებისა და, საერთოდ, რუსული საზოგადოების მიმართ. ეს ნარკვევი საინტერესოა იმიტაც, რომ იგი დაწერილია ევროპული ესეისტური ტრადიციების მიხედვით; მასში მოვლენები გადმოცემულია ცოცხალი სურათის სახით. მნიშვნელოვანია აგრეთვე იმიტაც, რომ ავტორი

შეულამაზებლად გვაწვდის ნეკრასოვისა და მისი შემოქმედების მიმართ თ. დოსტოევსკისა და ა. კრაევსკის დამოკიდებულების ამსახველ ფაქტებს. ნარკვევში შეიმჩნევა ტექსტის რეცეფციულ დონეთა პოლიფონიზმი; ასევე, ფიქსირდება დოკუმენტალიზმის, ბიოგრაფიისა და ყოფითი ფონის სინთეზი. ახალგაზრდა აკაკი წერეთელმა ამ პატარა ნაწარმოებით აჩვენა, რომ კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ყველა ის პროცესი, რომელიც იმ დროის ლიტერატურათმცოდნეობაში მიმდინარეობდა.

ფორმის თვალსაზრისით, ჟანრობრივად, ეს ნაწარმოები უნდა მივაკუთვნოთ ფიზიოლოგიურ ნარკვევს, რომელსაც იმ დროისათვის პოპულარობას უწევდა თავის ჟურნალში ნეკრასოვი თანამოაზრეებთან ერთად. ამ ფორმისათვის დამახასიათებელია დოკუმენტალიზმი, მოვლენათა ობიექტური აღქმა და ასახვა; იგი მწერალს საშუალებას აძლევს მოვლენები დაგვანახოს განსხვავებული კუთხით და შეულამაზებლად გამოხატოს დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

„ნეკრასოვის დაკრძალვა“ დაიბეჭდა თბილისის ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაზეთში „*Издѣ*“ (რომელიც გამოდიოდა თბილისში 1878-1883 წლებში. მისი გამომცემელი და რედაქტორი იყო ნიკო ნიკოლაძე. ამ გაზეთში დროდადრო იბეჭდებოდა ისეთი სტატიები, რომლებიც ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევდა) 1878 წ. 10 იანვარს და მიედღვნა რუსი პოეტის ნ. ნეკრასოვის გარდაცვალებას. აკაკი სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად დასწრებია პოეტის დაკრძალვის ცერემონიალს და, როგორც ამ მოვლენის თვითმხილველი, დაწერილებით მოგვითხრობს ამბავს: 1877 წლის 30 დეკემბრის დილას როგორ მოიყარა თავი 3-4 ათასმა კაცმა, რათა უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ ნ. ნეკრასოვი. პოეტის ცხედარი დილის ხუთ საათზე გამოუსვენებიათ ცნობილი რუსი ჟურნალისტისა და გამომცემლის ანდრია კრაევსკის სახლიდან, სადაც ნეკრასოვი ცხოვრობდა უკანასკნელ ხანს და კრაევსკისთან ერთად სცემდა ჟურნალ „*Нѣдѣльнѣ*“-ს, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლების რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ძირითად ორგანოსა და იდეურ ცენტრს წარმოადგენდა. მართალია, ჟურნალი მთავრობამ დახურა 1868 წელს, თუმცა ნეკრასოვს არ დაუჩინებია თავი საგამომცემლო საქმისათვის და სალტიკოვ-შიფდრინთან ერთად დაიწყო ჟურნალ „*Издѣ-и́нѣ*“-ის გამოცემა.

როგორც აკაკი მოგვითხრობს, სამგლოვიარო პროცესია ნოვოდევჩის მონასტრის მიმართულებით დაძრულა. ნეკრასოვის ტალანტის დამფასებლებს მისი ნეშტი სასაფლაომდე ხელით უტარებიათ. პროცესიას წინ უძღოდა გვირგვინები წარწერებით: „*რუსი ქალებისაგან*“, „*ნეკრასოვს სტუდენტებისაგან*“, „*ხალხის უკვდავ მეგობარს*“, „*ხალხის ვარამზე მომღერალს*“ და სხვ.

აკაკი შენიშნავს, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი სამგლოვიარო მსვლელობა, რადგან იგი რუსულმა პროგრესულმა საზოგადოებამ გადააქცია უსამართლო სოციალ-პოლიტიკური წყობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა.

ა. წერეთელმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ პროცესიას შეადგენდნენ ძირითადად ახალგაზრდები და ლიტერატორები და მწარე ირონიით შენიშნავს, რომ დაკრძალვას არ ესწრებოდნენ დაბალი ფენის წარმომადგენლები, გლეხები - სწორედ ისინი, ვის სამსახურშიც გალია პოეტმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი. „*И́а ѿ ѿѿи́и а́д ѿнѣѿа ѿ ѿѿѿа ѿнѣѿа ѿнѣѿа ѿнѣѿа ѿнѣѿа ѿнѣѿа ѿнѣѿа ѿнѣѿа*“ – გაოცებას არ ფარავს პოეტი. ამის მიზეზად აკაკის მოსახლეობის დაბალი ფენების გაუნათლებლობა მიაჩნია, რასაც პროცესიის მონაწილესა და შემთხვევით გამვლელს შორის გამართული იუმორისტული ხასიათის დიალოგიც ადასტურებს, რაც, ასევე, დამახასიათებელია ფიზიოლოგიური ნარკვევისათვის:

“- *À ѿи́ и́и а́д ѿнѣѿа, ѿнѣѿа ѿнѣѿა?*

- Íáèðáñíá!
 - Íáèðáñíá?
 - Íó, áá. Íáðñáíúé ÿýð.
 - Ìÿýð?.. Íá ÿáèì çáðù. Íá ñèùòáèè-ñ, - ÿðáá-àèè ÿíè, èà-àÿ ãñ èíáíè è óðì àèèè ñááá ÿðíáíèæàðù ÿðáðááñíá çáÿýðèá".

მოსახლეობის დაბალ ფენებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ ასეთი ხალხმრავალი დაკრძალვა მოუწყვეს ადამიანს, რომელიც არც პლიენასთან დალუპული ჯარისკაცი იყო, არც გენერალი, არც პოლიციელი და არც მსახიობი, არამედ უბრალოდ პოეტი!

"Ìÿýð?.. À ÷ðì ÿðì, ááððèá, áíèùðá èíáðáèá?" - გულუბრყვილოდ კითხულობდა ერთ-ერთი მათგანი...

ეს დიალოგი, გარდა იმისა, რომ იუმორს შეიცავს, გვევლინება ისტორიულ და იმ დროისათვის მიმდინარე მოვლენების კულტუროლოგიურ სურათად; კერძოდ, მასში კარგად გამოვლინდა უბრალო ხალხის დამოკიდებულება პლიენის მოვლენების მიმართ და, საერთოდ, რუსეთის მიმართება ბულგარეთისადმი, სადაც თავდაცვისას მრავალი ადამიანი დაიღუპა. ამ ნარკვევის შექმნა დაემთხვა რუსეთ-თურქეთის ომს. 1877 წელს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს; დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თურქეთმა დათმო პლიენა. ამ მოვლენებს კი წინ უძღოდა თურქეთის მხრიდან ბულგარეთის მოსახლეობის რეპრესიები. ისტორიამ გამოავლინა რუსეთის ორმაგი პოლიტიკა ამ მოვლენების მიმართ. დიალოგში მოხსენიებულია კონკრეტული ისტორიული პირები: ოსმან-ფაშა და გ. დ. სკლებოვი, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ და სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტებთან.

აკაკის წინასწარ დაუკავებია მოხერხებული ადგილი ნოვოდევჩის მონასტრში, რათა კარგად ედევნებინა თვალყური დამსწრე საზოგადოებისათვის. მის დაკვირვებულ თვალს ნეკრასოვის შემოქმედების დამფასებელთა შორის ისეთი ქალბატონებიც შეუნიშნავს, რომლებიც პოეტის დასაფასებლად და მის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად კი არ იყვნენ მისულნი, არამედ ნეკრასოვის საყვარელი ქალის სილამაზის საცქერლად, ქალისა, რომელიც წარმოშობით მაღალ წრეს არ ეკუთვნოდა, დაბალი ფენის წარმომადგენელი იყო. აკაკიმ თავისდაუნებურად მოისმინა მოსიერი ქალბატონების საუბარი იმის შესახებ, 60-იან წლებში თუ როგორ დაახვიეს ნეკრასოვს თავბრუ ნიჰილისტებმა, პოეტმაც სიყვარულის გამო როგორ შეიცვალა შეხედულებები და გახდა დაბალი ფენის ინტერესების გამომხატველი.

ნარკვევის მეორე ნაწილი ეძღვნება ნეკრასოვის შემოქმედების შეფასებას, მის როლსა და ადგილს რუსულ ლიტერატურულ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, ნარკვევის მეორე ნაწილი განსხვავდება გამოსახვის ფორმითა და საშუალებებითაც. თუ პირველ ნაწილში ავტორი დიალოგის ფორმით გადმოგვცემს სათქმელს, მეორე ნაწილი პირდაპირ გამოხატავს საკუთარ პოზიციას.

დაკრძალვის ცერემონიალის ერთ-ერთ მონაწილეს წაუკითხავს ნაწყვეტი ნეკრასოვის დაუმთავრებელი პოემიდან "Ðñòðñù ÿá ÷áñ". ძალიან სიმბოლურად ჟღერს ამ ნაწარმოების სათაური, რადგან სწორედ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რაინდად მოიაზრება ნეკრასოვი ამ ნარკვევის მიხედვით. აკაკი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას გამოსათხოვარ სიტყვებზე, რომლებიც წამოსთქვს ნეკრასოვის ახლო მეგობარმა, რუსმა მწერალმა და ჟურნალისტმა ი. პანაევმა, დიდმა რუსმა მწერალმა თ. დოსტოვესკიმ და სხვებმა. პანაევმა ნეკრასოვის დამსახურებებზე საუბრისას მოიხსენია ბელინსკი და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სწორედ მან (ბელინსკიმ) 30 წლის წინ შენიშნა ნეკრასოვის ტალანტი და გზაზე დააყენა ახალბედა პოეტი.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა დოსტოევსკის გამოხვევა. გარდაცვლილი პოეტის შემოქმედების მისეულმა შეფასებამ სამართლიანად განაცვიფრა საზოგადოების ერთი ნაწილი. დოსტოევსკიმ თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ნეკრასოვი პუშკინსა და ლერმონტოვს ამოუყენა გვერდით და მათი გზის გამგრძელებლად გამოაცხადა. თუმცა ამგვარმა განაცხადმა ცერ დააკმაყოფილა ცერემონიალის მონაწილე და დემონსტრაციის სულისჩამდგმელი რევოლუციონერი სტუდენტები. მათ თავიანთი ამბიციური შეძახილებით სიტყვაც კი გააწყვეტინეს დიდ მწერალს.

აკაკი სტატიის „ნეკრასოვის დაკრძალვა“ მკითხველს აშკარად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ მაშინდელი რევოლუციურად განწყობილი საზოგადოებისათვის ნეკრასოვი უფრო მალა იდგა, ვიდრე დიდ რუსი პოეტები - პუშკინი და ლერმონტოვი. წერილში მშვენივრად გამოჩნდა, აგრეთვე, იმდროინდელ რუსულ საზოგადოებაში არსებული დაპირისპირება, დაძაბული ურთიერთობა სხვადასხვა ფენებს შორის და შეხედულებათა მრავალფეროვნება.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის „ნეკრასოვის დაკრძალვა“ საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილია იმდენად, რამდენადაც მასში ნათლად გამოიკვეთა ავტორის დამოკიდებულება რუსი მწერლების მიმართ, ასევე, მისი პოზიციაც მე-19 საუკუნის 70-იანი წლების რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ, რომელიც მან გამოამჟღავნა თავის ირონიულ დამოკიდებულებაში რევოლუციონერი ახალგაზრდების მიმართ, რომელთათვის ნეკრასოვის იდეურ-პოლიტიკური შეხედულებანი მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი პოეზია.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. წერეთელი, 1963 - ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად; ტ. XV, თბ., 1963.

NATO GULUA

AKAKI TSERETELI AND THE RUSSIAN LITERATURE

(ACCORDING TO THE ARTICLE "NEKRASOV'S FUNERAL")

In this paper I would like to discuss "Nekrasov's Funeral", one of Akaki Tsereteli's article written in the Russian language. The article presents an interest for the modern literary studies so much so it reflects the attitudes of the progressively thinking Georgian student to the Russian literature and to the political process in the 70s of the 19th century revealed in Akaki Tsereteli's ironic demeanor to the revolutionary youth to whom Nekrasov's ideology and political viewpoints were more important than his poetry. The article also features the contradiction in the Russian society of the epoch, tense relationships between the social classes and the versatility of opinions.

The article is also interesting for its European tradition of essayistic conveyance of events in live images and for the author's providence of the straight facts about F. Dostoevsky's and A. Kraevsky's attitudes towards Nekrasov and his works. It reveals polyphonies of the text's reception levels, as well as the synthesis of documentary evidences, biography and of the mundane existence.

With this short piece of writing young Akaki Tsereteli showed that he was cognizant of all the trends and processes of the literary studies of the period